ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 509

"20" ოქტომბერი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გამზირი აღმაშენებლის მიმდებარედ არსებული 4061 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.16.05.032.024) 10 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გიორგი ახალშენიშვილისთვის (პირადი №01019005452) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.032.024) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ახალშენიშვილისთვის (პ/ნ. 01019005452) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის №23.1434.1614 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, გამზირი დ. აღმაშენებლის მიმდებარედ რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.16.05.032.024), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ამავე განკარგულების დანართი №1-ით წარმოდგენილ სიტუაციურ ნახაზზე მონიშნულ, 10 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გიორგი ახალშენიშვილისთვის (პირადი № 01019005452) გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 400 (ორი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე